



ბიზნესის განვითარება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში

რეზიუმე

ლევან ათუაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: Latuashvili@gmail.com

მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ რგოლს წარმოადგენს. განვითარებულ ქვეყნებში მეწარმეების 60% მცირე საწარმოებზე მოდის რაც სამწუხაროდ საქართველოში ასე არ არის. მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის ზრდისათვის, ამიტომ აუცილებელია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება და მისი განვითარება. აღნიშნულ სტატიაში მოყვანილია ის პრობლემები და ხელის შემშლელი ფაქტორები რაც დაბრკოლებას უქმნის ბიზნესის განვითარებას ასევე მოყვანილია იმ ქვეყნების მაგალითები და რეფორმები რომლებიც ამავე განვითარების ეტაპზე იმყოფებიან. სტატია მოიცავს იმ რეკომენდაციებსაც რაც ჩვენ ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად მიგვანჩნია და ფეოქრობო რომ ხელს შეუწყობს საწარმოების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, განვითარება, მცირე ბიზნესი, საშუალო ბიზნესი, მეწარმე, საწარმო, დასაქმებული.

შესავალი

ბიზნესის განვითარება, თავისუფალი კონკურენციის ფორმირება დამოკიდებულია გარემოზე და უშუალოდ ბიზნესმენის მეწარმეობრივ უნარ-ჩვევებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული ფულადი და ადამიანური რესურსების და მათზე კერძო სექტორის ხელმისაწვდომობის ხარისხი. საკანონმდებლო რეგულირება შესაძლოა იყოს ლიბერალური, მაგრამ ვერ ან რთულად ხდებოდეს მისი აღმინისტრირება. ბევრს საუბრობენ თვითონ სამეწარმეო უნარების განვითარების დაბალ დონეზე. მაგალითად საქართველოში კვლავაც ნაკლებად ხდება მომხმარებელზე ორიენტირება და მეწარმეები არ ფლობენ შესაბამის უნარებს, როგორ მოახდინონ სწორი კომუნიკაცია მიზნობრივ ბაზართან და შესაბამისად იყვნენ მაღალკონკურენტუნარიანი.

2006 წლამდე საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობდა რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც განმარტავდა თუ რა იყო მცირე და საშუალო ბიზნესი და განსაზღვრავდა პოლიტიკასა და სტრატეგიას ამ ზომის საწარმოებისთვის.

2006 წელს ცვლილებები შევიდა კანონში და დადგინდა განმარტებები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის. კერძოდ მცირე საწარმო „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოა, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და წლიური ბრუნვა – 500000 ლარს.

საშუალო საწარმო „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით არის ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 100 დასაქმებულს და წლიური ბრუნვა 1500000 ლარს.¹

უნდა აღიონინოს რომ აღნიშნულ განმარტებებს არ მოეწოდება რაიმე მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ხელშესაწყობად, ამასთან მხოლოდ ტერმინთა განმარტებებშია ნახსენები ეს მცნებები, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ჩანაწერი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ხდება ბიზნესის ზომების რანჟირება, თუმცა ძირითადად ყურადღება ექცევა საწარმოს ბრუნვასა და დასაქმებულთა რაოდენობას. მაგალითად ევროკავშირის ქვეყნებში მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები შედგება საწარმოებისგან, სადაც მუშაობს 250 ადამიანზე ნაკლები და რომლის წლიური ბრუნვა შეადგენს 50 მილიონ ევროს და მათი ნაღდი ფულის უწყისი არ აღემატება 43 მილიონ ევროს.

¹ საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, მეწარმეთა სამაგიდო წიგნი, გვ. 4-6.



ყირგიზეთში მცირე საწარმოებში მომუშავეთა რაოდენობა არის უფრო ნაკლები ვიდრე 50 ადამიანი წარმოების სფეროში და 15 ადამიანი არაწარმოების სფეროში, სუფთა შემოსავალი არ აღემატება 500000 KGH-ს.

უზბეკეთში მიკრო საწარმოებში მომუშავეთა რაოდენობა არის 10-ზე ნაკლები ინდუსტრიაში, ხოლო ვაჭრობისა და მომსახურების საწარმოებში 5-ზე ნაკლები.

მცირე საწარმოებში ინდუსტრიაში - 40-ზე ნაკლები, მშენებლობაში 20-ზე, საცალო გაყიდვაში და სხვა არაპროდუქციულ სფეროებში 10-ზე ნაკლები ადამიანი.

საშუალო სიდიდის საწარმოებში - ინდუსტრიაში 100-ზე ნაკლები, მშენებლობაში 50-ზე, სოფლის მეურნეობაში, საბითუმო ვაჭრობასა და პროდუქტების მიწოდებაში 30-ზე, საცალო გაყიდვაში და სხვა არაპროდუქციულ სფეროებში 20-ზე ნაკლები ადამიანი.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში 2015 წლის პირველი თებერვლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 605390 საწარმო. რეგისტრირებულ საწარმოთა 80% მცირე ზომის სუბიექტებზე მოდის, 13% საშუალო ზომის და მხოლოდ 7% მსხვილ საწარმოებზე.²

ოფიციალური მონაცემები მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე საკმაოდ მწირია და ვერ იძლევა სრულყოფილ სურათს. აღნიშნული მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკაში, როგორც ბრუნვის, ასევე დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების 60%-ზე მეტი მსხვილ საწარმოებზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ინფორმაციით რეგისტრირებული კომპანიების მხოლოდ 7% მოდის მსხვილ საწარმოებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი როგორც წესი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე მოდის.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევაში მონაწილე მეწარმეებმა, რომელიც ეხებოდა საქართველოში ბიზნესგარემოს პრობლემებსა და გამოწვევებს მცირე და საშუალო ბიზნესის კუთხით, ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ბიზნესმარეგულირებელი კანონმდებლობა რთული და ორაზროვანია. სხვადასხვა ზომის ბიზნესის წარმომადგენლებმა საოვერთო ტიპის

პრობლემები დაასახელეს, თუმცა იყო განსხვავებულებებიც. მაგალითად საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის მეტად აქტუალურია საბაჟო პროცედურები და დამატებული ღირებულების გადასახადი, მცირე მეწარმეებისთვის კი აქტუალურია არსებული საგადასახადო სანქციებისა და ჯარიმების მოცულობა.

აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტიპის პრობლემები: კანონმდებლობის ხშირი ცვლილება და რთულად გასაგები ენა; შეღავათების ან რაიმე პოლიტიკის არ არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესს; ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე, განსაკუთრებით შეღავათიან კრედიტებზე; გასაღების ბაზარზე გასვლა, როგორც შიდა ასევე გარე და ზოგადი არასტაბილურობა და დაგეგმვის შეუძლებლობა.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განვითარებულმა პროცესებმა, ქართული ბიზნესგარემო სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა. კორუფციამ, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, კონკურენციის არათანაბარმა პირობებმა, ენერგორესურსების ღირებულებამ, არაეფექტურმა სასამართლო სისტემამ, ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალმა დონემ, სამეწარმეო საქმიანობაში არსებულმა გართულებულმა რეგულირებებმა და სხვა მრავალმა პრობლემამ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას მკვეთრად შეუშალა ხელი.

ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში ბიზნესის მართვის კულტურა და ტრადიციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება და განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები ერთობლივად ახორციელებენ.

ბუღგარეთში შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, 2000-2003 წლებში განხორციელდა მასშტაბური პროექტი, რომლის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და სამუშაო ადგილების შექმნა.

პროექტის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის დამწყები ბიზნესმენებისთვის ტრენინგების ჩატარება ბიზნესის დაწყებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. პროექტის ფარგლებში ასევე მოხდა საწარმოებისთვის ინტერნეტის უზრუნველყოფა და კომპიუტერუ-

² საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, 2009, გვ. 5-9.



ლი უნარებისა და პროგრამების სწავლება.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა 8000 გრძელვადიანი სამუშაო ადგილი, ტრენინგი ჩატარდა და კონსულტაცია გაეწია 7000-ზე მეტ ბიზნესს, ასევე მოხდა მცირე და საშუალო ბიზნესზე თანხების გაცემა ლიზინგის სქემის მიხედვით.

სომხეთის მთავრობამ 2000 წელს შეიმუშავა “სომხეთის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის კონცეფცია”, რომელიც წარმატებით ხორციელდება. დოკუმენტში წარმოდგენილია სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზნები, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისაკენ.³

საქართველოში 2003 წლიდან მიმდინარეობს ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობის რეფორმები, რომლის ძირითად მიმართულებას მცირე და საშუალო სექტორი წარმოადგენს. 2003-2004 წლებში ბიზნესის მთავარი შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენდა მაღალი დანახარჯები, ბიუროკრატიული ბარიერები, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები იყო ანტიკორუფციული რეფორმების გატარება, ინვესტირების მოზიდვა, ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის რეგულირება. პირველი რეფორმები ბიზნესგარემოს განსავითარებლად განხორციელდა 2004 წელს, როდესაც მთავრობამ გამოსცა ახალი საგადასახადო კოდექსი.

მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, ამ პერიოდში მაინც არსებობდა მნიშვნელოვანი ბარიერები, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას აფერხებდა. ყველაზე რთულ პროცედურებად გადასახადებთან და ექსპორტი-იმპორტთან დაკავშირებული საკითხები გამოვლინდა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, არაერთი ბუნდოვანი ნორმები, რომლის შეცვლა ალბათ სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხები პრობლემას უქმნის მეწარმეებს თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში. მეწარმეებს ხშირ შემთხვევაში პრობლემები ექმნებათ დოკუმენტაციის არასწორად წარმოებასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ, დაჯარიმების საფრთხის წინაშე აყენებს მათ.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ კანონმდებლობაში ცვლილებები ხდება მიუღებელი სიხშირით, ხოლო მომხდარი ცვლილებები ძალაში შესვლის ვადა ძალიან მცირეა. უნდა მოხდეს ისე, რომ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები დროულად მიეწოდოს მეწარმეებს, რაც ხშირად ხდება მიზეზი იმისა, რომ მეწარმე ცვლილებების არცოდნის გამო უნებლიედ არღვევს კანონს.

ყველაზე დიდ მსგავსებას ქართული სამეწარმეო სამართალი გერმანულთან განიცდის. ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც, გერმანიაში სამეწარმეო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დისციპლინის ჩამოყალიბებას, ძირითად საფუძვლად დაედო კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა. ალბათ სასურველი იქნებოდა ბევრი რამ საქართველოში გერმანული კანონმდებლობის მსგავსად ხდებოდა. გერმანული კანონმდებლობისგან განსხვავებით სადაც კანონი ითვალისწინებს საწარმოს სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის შემდეგ მისი გაცოცხლების პროცედურებს და შესაძლებლობებს, საქართველოში საწარმოს ლიკვიდაცია საწარმოს საქმიანობის შეწყვეტას გულისხმობს, მას შემდეგ რაც საგადასახადო ორგანო მეწარმეთა შესახებ კანონითა და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ ქმედებას განახორციელებს საწარმო სამეწარმეო რეესტრიდან ამოიშლება, რაც ჩვენი აზრით არ არის სამართლიანი, ვინაიდან შესაძლოა საწარმოს მისი ლიკვიდაციისა და სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის შემდეგ გამოუჩნდეს რაიმე სახის ქონება რომელიც უნდა განაწილდეს პარტნიორთა და კრედიტორთა შორის და საწარმომ განახორციელოს თავისი სამეწარმეო საქმიანობა.

არსებობს კარგი არგუმენტები სამეწარმეო განათლების მხარდასაჭერად. ახალგაზრდების სურვილი შეისწავლონ საწარმოების განვითარება და მისი ფასეულობები, სტიმულირებას საჭიროებს. ივარაუდება, რომ მეწარმეობის შესწავლა ხელს შეუწყობს ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური სისტემა ტრანსფორმაციას განიცდის საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მიმართულებით.

³ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ასოციაცია, სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები, გვ 6.



ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, მეწარმეთა სამაგიდო წიგნი.
2. საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, 2009.
3. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ასოციაცია, სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები.

**BUSINESS DEVELOPMENT AND PROBLEMS
IN CONNECTION WITH IT IN GEORGIA**

LEVAN ATUASHVILI
PhD student of GTU
E-mail: Latuashvili@gmail.com

Summary

Small and average business is the basic and motive part of the country. There are 60% of small entrepreneurs in the developed countries, unfortunately it is not in Georgia like this. It is exceptionally important for economic development to increase small and average business, so it is very important to encourage and develop small and average business in Georgia. In this article, there are presented problems and obstacles, which block business development, also there are given examples of other countries, which are at the same level of development. The article includes even the recommendations, which we think are important and they will support companies to develop.